ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. დეკემბრის 20. № 30 ტ ფ ი ლ ი ს ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

176. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ.

დებულება სახელმწიფო და ადგილრბრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

176. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სასხართა დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას დებულება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. ნოემბრის 3. № 1442.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების სპეციალურ სახსართა შესახებ.

1. სპეციალურ სახსრად ითვლება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სახსარი, რაც ჩამოთვლილია ამა დებულებასთან დართულ ნუსხაში.

შენიშვნა. სპეციალური სახსარი არ გატარდება ბიუჯეტის არც საშემოსავლო, არც საგასავლო ნაწილში.

სპეციალურ სახსართა ნუსხის დამატება და შეცვლა შეიძლება მხოლოდ ყოველ ცალკე შემთხვევაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

2. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულების სპეციალური სახსარი იხარჯება მხოლოდ იმ საჭიროებაზე, რაც გათვალისწინებულია ამა დებულებასთან დართულ ნუსხაში.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებათ მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიონ თვითეულ უწყებასა და დაწესებულებაში სპეციალური სახსრის შექმნას და გამოყენებას ამა დებულების შესაბამისად.

4. ყველა სახალხო კომისარიატი, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების და საბჭოების განყოფილებები (სამმართველოები) და მათი ქვემდებარე დაწესებულებები, რომელთა განკარგულებაშიაც სპეციალური სახსარია, ყოველ წელს, წლიური ხარჯთაღრიცხვის შედგენასთან ერთად, ადგენენ აგრეთვე სპეციალურ სახსართა საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვებს.

შენიშვნა. საშემოსავლო ხარჯთაღრიცხვა შედგენილ უნდა იქნას ყველა მოსალოდნელი შემოსავლის ანგარიშში მიღებით, ხოლო საგასავლო ხარჯთაღრიცხვა—სამუშაოთა გეგმის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს აღრიცხული საშემოსავლო თანხისა.

5. სახელმწიფო, საქალაქო და სარაიონო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები თავიანთ საგანკარგულებო სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვების პროექტებს წარუდგენენ სათანადო სახალხო კომისარიატებს და საქალაქო საბჭოების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებს.

ეს უკანასკნელნი შეადგენენ თავიანთი ქვემდებარე დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვების ჯუმლებს თვითეული დაწესებულების გამოყოფით, და, თავის უშუალო განკარგულებაში ქონებულ სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვებთან ერთად, წარუდგენენ განსახილველად სათანადო საფინანსო ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყების ან ცენტრალური დაწესებულების უშუალო განკარგულებაში ქონებულ სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვებს და აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი, მათი ქვემდებარე დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ჯუმლობითს ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ჯუმლობითი ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების შემდეგ, უწყება და ცენტრალური დაწესებულება დაამტკიცებს, ამ ჯუმლობითი ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში და სპეციალური სახსრის ყოველი მიზნობრივი სახის მიხედვით, ხარჯთაღრიცხვებს თვითეული თავისი ქვემდებარე დაწესებულებისათვის, თანაც გაანაწილებს აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვებში შემოსავალს—სახეებზე და გასავალს—მუხლებზე, და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების ასლებს წარუდგენს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

7. ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტზე ან საქალაქო და სარაიონო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს სათანადო საფინანსო ორგანოები, თავიანთი დასკვნითურთ, წარუდგენენ დასამტკიცებლად ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, კუთვნილებისამებრ.

8. სასოფლო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანი თავიანთ საგანკარგულებო სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვებს წარუდგენენ განსახილველად სასოფლო საბჭოს, რომელიც ამ ხარჯთაღრიცხვებს თავისი დასკვნითურთ წარუდგენს დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სოფლის ბიუჯეტთან ერთად.

9. დაწესებულების სპეციალური სახსარი ინახება საპროცენტო მიმდინარე ანგარიშზე იმ საკრედიტო დაწესებულებაში, რომელსაც დაკისრებული აქვს ამ დაწესებულების ხარჯთაღრიცხვების საკასო აღსრულება.

10. სპეციალურ სახსართა შემოსავალ-გასავლის აღსარიცხავად, როგორც საერთო წესი, თვითეულ დაწესებულებას გაეხსნება ერთი მიმდინარე ანგარიში ყველა სახის სპეციალური სახსრისათვის. ცალკეული სახის სპეციალური სახსრისათვის განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიშის გახსნა შეიძლება სათანადო საფინანსო ორგანოს ნებართვით.

11. სპეციალურ სახსარს საკრედიტო დაწესებულება გასცემს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან ან ადგილობრივი საფინანსო ორგანოსაგან, კუთვნილებისამებრ, მიიღებს ცნობას ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

რაც შეეხება სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მათი სპეციალური სახსრის ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების შემდეგ, სარაიონო საფინანსო ორგანო აცნობებს სასოფლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოებს და იმ საკრედიტო დაწესებულებებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სასოფლო ბიუჯეტის საკასო აღსრულება, თვითეული დაწესებულების დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვას. ამ ხარჯთაღრიცხვებით ხელმძღვანელობენ საკრედიტო დაწესებულებანი სპეციალური სახსრის გაცემისათვის.

უკეთუ ცნობა ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ არ არის, საკრედიტო დაწესებულება არ გასცემს სპეციალურ სახსარს და მხოლოდ მიიღებს და ჩარიცხავს შემოსულ თანხებს.

12. სპეციალური სახსარი უნდა იხარჯებოდეს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში და მხოლოდ ამ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ საჭიროებაზე.

უკეთუ ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილში სპეციალური სახსარი გადაჭარბებით შემოვიდა, ამ ზედმეტი შემოსავლის ხარჯვა შეიძლება მხოლოდ დამატებითი ხარჯთაღრიცხვით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნას ამა დებულების მე-5, 6, 7 და 8 მუხლებით დადგენილი წესისამებრ.

ხოლო, უკეთუ სპეციალური სახსარი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე ნაკლები შემოვიდა, ის დაწესებულება, რომელიც ადმინისტრებს ამ სახსარს, მოვალეა სათანადოდ შეამციროს ხარჯთაღრიცხვის საგასავლო ნაწილი და ეს აცნობოს სათანადო უწყებას, ცენტრალურ დაწესებულებას, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს განყოფილებას და სასოფლო საბჭოს.

13. სახარჯთაღრიცხვო დანიშნულების გადატანა ერთი სახის სპეციალური სახსრის ხარჯთაღრიცხვიდან მეორე სახის სპეციალური სახსრის ხარჯთაღრიცხვაში არ შეიძლება.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, სათანადო საფინანსო ორგანოსთან შეთანხმებით, დანიშნულებათა გადატან-გადმოტანა შეიძლება ხარჯთაღრიცხვის ფარგლებშივე, გარდა სამმართველო ხარჯების გასადიდებლად გადატან-გადმოტანისა.

14. სპეციალური სახსრის ხარჯთაღრიცხვის მოქმედება თავდება საბიუჯეტო წლის უკანასკნელ სამუშაო დღეს.

საბიუჯეტო წლის ბოლოსთვის დაუხარჯავი სპეციალური სახსრის ნაშთი უერთდება შემდგომი წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სპეციალურ სახსართა შემოსავალს, უკეთუ სხვა მხრივ მისი მიქცევა გათვალისწინებული არ არის ამ სპეციალური სახსრის შესახები დადგენილებით.

15. სპეციალური სახსრის მქონე დაწესებულება მოვალეა აწარმოოს სპეციალური სახსრის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის აღრიცხვა და აგრეთვე შეადგინოს და წარადგინოს ამ სახსრის პერიოდული ანგარიშები იმ ფორმებით და იმ ვადებზე, რაც დაწესებულია ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების მოქმედი ინსტრუქციებით.

წლიური ანგარიში წარიდგინება სათანადო ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვების-აღსრულების ანგარიშთან ერთად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ უ ს ხ ა

სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა.

№ რიგზე	სახსართა წყაროები	სახსართა დანიშნულება
1	დაწესებულებების კუთვნილი სახლების საიჯარო და საბინაო ქირა და სხვა შემოსავალი; აგრეთვე ქვე-მოიჯარეთაგან ცენტრალიზებული მომსახურეობისათვის (ტანისამოსის საკიდელი, ტელეფონი და სხვ.) მიღებული შემოსავალი.	იხარჯება შენობათა შენახვაზე რემონტზე და გაწყობაზე, აგრეთვე გაერთიანებულ სამეურნეო მომსახურეობის ხარჯების დაფარვაზე.
2	საუწყებო არბიტრაჟში საქმეების განხილვის სასყიდელი.	იხარჯება არბიტრაჟის მომუშავეთა შენახვაზე.
3	საარქივო მაკულატურისა და უვარგისად ცნობილი წიგნების გაყიდვით მიღებული შემოსავალი.	გამოიყენება საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებზე, ბიუჯეტით გადადებული ასიგნვების დამატებად; ამ შემოსავლის 15%-მდე შეიძლება გამოყენებულ იქნას მომუშავეთა დასაპრემიებლად მაკულატურის აღმოჩენისათვის.
4	ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების კუთვნილი ტრანსპორტის სარგებლობისათვის ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან მიღებული შემოსავალი.	იხარჯება ტრანსპორტის შენახვაზე, რემონტზე და შევსებაზე.
5	გამოფენებსა და მუზეუმებში შესვლის სასყიდელი.	გამოიყენება მუზეუმებისა და გამოფენების მოწყობასა, შენახვასა და შევსებაზე გაწეული ხარჯების დასაფარავად.
6	ლექციების, ფასიანი საღამოების, წარმოდგენების, კონცერტებისა და სხვა მისთ. შემოსავალი.	გამოიყენება იმ მიზნისათვის, რაც გათვილისწინებულია ლექციების, ფასიანი საღამოებისა და სხვა მისთ. მოწყობის დროს.
7	სასყიდელი დაუსწრებელი სწავლებისათვის.	გამოიყენება დაუსწრებელი სწავლების სასწავლო ხარჯების დასაფარავად.
8	სასწავლო-დამხმარე და დამხმარე წამოწყებათა (სახელოსნო, ბოსტანი, ბაღი და სხვა) საწარმოო საქმიანობის შემოსავალ	გამოიყენება ამ წამოწყებათა ორგანიზაციისა და მიმდინარე შენახვისათვის და იმ დაწესებულებათა სამეურნეო და ოპერაციულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, რომლებთანაც ეს წამოწყებებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ რიგზე	სახსართა წყაროები	სახსართა დანიშნულება
9	ლაბორატორიების, კაბინეტების, სამეცნიერო-საკვლევო და საცდელი დაწესებულებების შემოსავალი, აგრეთვე სამეცნიერო ნაშრომთა გამოცემით და ცდებისათვის ნაყოლ ცხოველთა უტილიზაციით მიღებული შემოსავალი.	იხარჯება სამეცნიერო-საკვლევო და საცდელი დაწესებულებების, ლაბორატორიებისა და კაბინეტების შენახვაზე და გაწყობაზე.
10	სამედიკო-სასანიტარო, და სავეტერინარო დაწესებულებების მიერ სამკურნალო დახმარებისა და სხვადასხვა მომსახურეობის (ანალიზი, რენტგენული სურათების გადაღება, გამოკვლევა და სხვ.) გაწევისათვის სასყიდლის სახით მიღებული შემოსავალი.	იხარჯება სამედიკო-სანიტარო და სავეტერინარო დაწესებულებების შენახვაზე და გაწყობაზე.
11	უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში და კურსებზე სწავლებისათვის მიღებული სწავლის ფული.	ჰხმარდება სასწავლებლების შენახვას და სასწავლო ხარჯებს.
12	ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებსა და ბაგებში ბავშვების აღზრდისა და შენახვის სასყიდელი.	იხარჯება ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.
13	ბიბლიოთეკების კლიენტურისაგან მიღებული შემოსავალი (სააბონემენტო სასყიდელი) და აგრეთვე წიგნების გაფუჭებისა და დაკარგვისათვის გადახდევინებული თანხები.	იხარჯება წიგნების ფონდების შევსებაზე.
14	სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 28-ის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 12 №-ი, მუხ. 323), სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისათვის გადაცემული კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გაყიდვით მიღებული სახსარი.	გამოიყენება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საოპერაციო ხარჯებისათვის, ინვალიდთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1937 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	3
3	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	5
4	ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს და ავტონომიური ოლქის საოლქო სამმართველოებს	2
5	ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.	3
6	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
7	სასოფლო საბჭოებს	1
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	10
9	ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს და ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	საქართველოს სსრ პროკურატურას	5
12	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის პროკურატურებს.	3
13	სარაიონო პროკურორებს	1
14	სახალხო გამომძიებლებს	1

37
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური
საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1937 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე— 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე— 5 მან.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი ხაქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / ხაქმ. მმართველობა 1936 წ. № 59. 3/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1/2 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 1/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XII ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 870110 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 1099